№ 18
სამშაბათი, 25 იანვარი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 18
სამშაბათი, 25 იანვარი, 1900 წ.

რედაქციის
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ГАЗЕТИЯ ДЕЛАЕТСЯ
ТИПОГРАФИЕЙ
ГАЗЕТИЯ ДЕЛАЕТСЯ
ТИПОГРАФИЕЙ

ГАЗЕТИЯ ДЛЯ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ГАЗЕТИЯ ДЛЯ:
ГАЗЕТИЯ ДЕЛАЕТСЯ ТИПОГРАФИЕЙ

პიესა არტისტებმა საზოგადოდ სულ-ტად და უგულოდ ჩაატარეს, თუმცა კერძოდ ბ-ნმა მესხიშვილმა თავისი როლი სამაგალითოდ წარმოადგინა. ამ არტისტმა მეორე მოქმედებაში ის სურათი, სადაც მამა შემთხვევით თავისს ქალსა ჰხვდება, ისეთის ნიჭით და ხელოვნებით დაგვიყენა და თავის ხელოვნურის თამაშობით ისე იმოქმედა მაყურებლებზედ, რომ ბევრმა ცრემლი ვერ შეიმაგრა. ამ პიესაში არა უშავდათ-რა აგრეთვე ქ-ნს ნებიერიძესა და ბ-ნ სვიმონიძეს. ვოდევილმა ბ-ნთ ყიფიანისა, შათირიშვილისა და გედევანოვის წყალობით, მხიარულად ჩაიარა.

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 27 იანვრისათვის ბ-ნ გ. გედევანოვის საბენეფისოდ. დანიშნულია წარმოსადგენად ცნობილი პიესა „ურიელ-აკოსტა“. აკოსტას როლს ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი თამაშობს.

*** წუხელ, 24 იანვარს, ქალაქის საბჭომ დაადგინა ხორცის ნიხრად ცხვრისა გირვანქა 11 კაპ. და ძროხისაც 11 კ. აქამდე ორივე გირვანქა 9 კაპ. იყიდებოდა.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს, რომ წარმომიდგინეთ ამა წლის აპრილამდე ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენს შეადგენდა 1900 წ. 1 იანვრისათვის სასოფლო სამეურნეო თანხაო.

*** გუშინ წინ, 23 იანვარს, გადახდილ იქმნა დიდუბეში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის სულის მოსახსენებლად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორი მღვდელ-მონაზონი დიმიტრი გუშინ წინ, 23 იანვარს, ხელ-დასხმულ იქმნა არხიმანდრიტად, რომელიც განწესებულ იქმნა არდონის (კავკავის ეპარქიაშია) სამისიონერო სემინარიის რექტორად. მისის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა საქართველოს ექსარხოსის მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ფლავიანეს განკარგულებით მასწავლებელი ნიკოლოზ მახათაძე.

*** სათავად-აზნაურო ქარვასლის გამგე კომისიას დაუდგენია იშუამდგომლოს თავად-აზნაურთა საზოგადო კრების წინაშე, რომ გაუქმებულ იქმნას სათავად-აზნაურო თეატრის შენობა, რადგანაც ამ შენობის ხელ ახლად გადაკეთებას დასჭირდება 70,000 მან. ხარჯი და კომისიას ჯერ-ჯერობით კი ამის შეძლება არ აქვს. კომისიის აზრით, თეატრის შენობა უნდა გადაკეთდეს დუქნებად და მისგან შემოსულ ქირიდგან დაენიშნოს ქართულს თეატრს 2—3 ათას მანეთამდე ყოველ წლიურ შემწეობად. ისე, რომ დრამატიულ საზოგადოებას ჰქონდეს შეძლება სხვაგან გამართოს წარმოდგენები იმ დრომდე, ვიდრე გამოირკვევა ქარვასლის ხელ-ახლად გადაკეთებისა და ახალის თეატრის აშენების საქმე.

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის მმართველობას აღუძრავს ლაპარაკი კავკასიაში სულით ავადმყოფთა ახალშენების გამართვის შესახებ.

*** 31 იანვარს მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება. ამ კრებამ უნდა შეიმუშავოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას ეპატიოს ის ჯარიმა, რომელიც მას დააკისრეს საერობო გარდასახადის შეტანის დაგვიანებისათვის.

*** ტფილისის მოქალაქეთა და სახელოსნო გამგეობათა რევიზია დაინიშნა მთავრობისაგან. რევიზიას აწარმოებენ მოქალაქეთა გამგეობისას გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი დ. ს. ს. ე. გ. ვეიდენბაუმი და საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. მუხრინსკი და სახელოსნო გამგეობის—გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი დ. დ. ტირიუტინი და გუბერნატორის კანცელარიის მართველის უფროსი თანაშემწე ბ-ნი გერასიმოვი.

*** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, საჭიროდ მიგვაჩნია მოწვეულ იქმნენ სპეციალისტი მასწავლებელნი ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისათვის, ადგილობრივ ენების სასწავლებლად, რათა ამ ენების სწავლების საქმე უკეთ სწარმოებდესო.

*** საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც ქალაქის ელექტრონით განათების საქმე აქვს მინდობილი, გამგეობის წევრის თ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა სამი პროექტი. ერთი პროექტი შუკერტის ფირმამ წარუდგინა, მეორე—ალშევიჩისა და კერნერის ფირმამ და მესამე—რუსეთის საზოგადოებამ „უნიონ“-მა. კომისიამ მოიწონა შუკერტისა და ალშევიჩისა და კერნერს პროექტები. ამ პროექტებიდგან ჩანს, რომ ტფილისში ელექტრონით განათების საქმის მოწყობა სამას-სამოცი ათასი მანეთი დაჯდება. ქალაქმა ეს ფული, შუკერტის პროექტით, უნდა გადაიხადოს 10 წლის განმავლობაში. ამასთან შუკერტი, თუ რამე ნაკლი აღმოჩნდა, ჰკისრულობს სამის წლის განმავლობაში პასუხის გების. ქალაქმავე უნდა გადაიხადოს წლიური ხარჯი განათებისა, დაახლოვებით 35,000 მანეთი. ალშევიჩისა და კერნერის წინადადებით კი დახარჯული ფული გადახდილ უნდა იქმნას 14 წლის განმავლობაში. პასუხის გების კისრულობს ორი წლის განმავლობაში.

კომისიის მეორე კრება დანიშნულია 8 თებერვლისათვის. კომისიამ დაავალა ტეხნიკოს მუხარინსკის მოიწვიოს შვეიცარიის საელექრო-ტეხნიკო საზოგადოების ტფილისის წარმომადგენელი ინჟინერი რაგულერი და ელექტრო-ტეხნიკი ეგოროვი ხარჯთ-აღრიცხვისა და ტეხნიკურის პროექტის შესადგენად.

*** ქუთაისის ზოგიერთ დიდრონ ტყის პატრონებმა გზათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ კავკასიის რკინის გზებზედ ხე-ტყის მასალის გადატანგადმოტანის გარდასახადი შემცირებულ იქმნასო.

*** როგორც „ტფ. ფურც.“ დეპეშით ატყობინებენ, ახალქალაქის მაზრის ბარალეთის ნაწილში 22 იანვარს, სალამოს ხუთ საათზედ, მიწა კიდევ საშინლად ძრულა. უმეტესად სოფ. ბეჟანოსა და სამსარაში დაქცეულა სახლები. სამსარაში ერთის დაქცეულ სახლის ნანგრევებიდგან ამოუთხრიათ ოთხი ცოცხალი კაცი. ხალხი თურმე მეტად შეშინებულია.

*** ფოთი. ჩვენი ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე 21 იანვარს ქალაქის საქმეების გამო პეტერბურგს წავიდა, საიდგანაც შემდეგ საზღვარ გარეთ წავა უცხოქვეყნების საუკეთესო ნათ-სადგურების დასათვალიერებლადა და იმ ნავთსადგურთა წეს-რიგის გასაცნობად.

*** ს. მარელისა, (შორაპნის მაზრა). 16 იანვარს ამ სოფლის ეკკლესიაში იქმნა შესრულებული წირვა განსვენებულის გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ მღვდელმა კ. კონსტანტინე ანთაძემ წარმოსთქვა შესაფერისი მოკლე სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა ღვაწლი განსვენებულის გიორგისა, და შემდეგ გადაიხადა პანაშვიდი.

19 დეკემბერს ჩვენშიაც მოხდა მიწის ძვრა, რამაც მრავალი ბუხარი დაანგრია და შენობები დააზარალა.

6 იანვარს, ნათლისღებას, მღვდელმა მ. კონსტანტინე ანთაძემ სიტყვა წარმოსთქვა ახალქალაქის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა შესახებ. აქაურმა გლეხობამაც არ დაიშურა თვისი წვლილი, რომ შემწეობა აღმოეჩინა დაზარალებულთათვის. ჩამოტარებულ იქმნა ლანგარი და შეიკრიბა 6 მანეთი და 41 კაპ., რომელიც გარდაეცემა დანიშნულებისამებრ ამ მოკლე ხანში.

*** ქართულ სახალხო წიგნთ-საცავ სამკითხველოთა გამგეთ უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის შემწეობა აღმოუჩინეთ წელს ამ სამკითხველოთო. როგორც გავიგეთ, ეს შუამდგომლობანი გარდაეცა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას თავისის აზრის წარსადგენად ამ საქმის შესახებ.

*** ტფილისის სახაზინო პალატის საგანგებო საქმეთა მოხელე ბ-ნი �or-

---

იმასა და იმისს მადლენას გააქანებდა შორს, შორს... უკანასკნელად ეთხოვებოდა სამშობლო მხარეს, სადაც ამდენი ტანჯვა-ვაება გამოიარა... ხარბად ისუნთქავდა ზღვის გამაცოცხლებელს ჰაერს, თითქოს უნდა თან გაეყოლებინა მირსინისა და გრივის სუნნელება. ხან და ხან ის შეხედავდა სიყვარულით სავსე თვალებით შორს, ბურუსით მოცულს გზა-ტკეცილს, რომლის მიხვეულ-მოხვეულებზედ, იმის და მიუხედავად, რომ საკმაოდ ჩამობნელებულიყო, ჯერ კიდევ გაარჩევდით მადლენას თეთრს კაბას, რომელიც დრო და დრო მაღლა, ცის კიდემდე ამართულს ფიჭვის ხეებში გამოკრთებოდა ნაზად და ისევ განქრებოდა ხოლმე.

VI

ამ დროს მოისმა გაცხარებული ძაღლის ყეფა და ძლიერი სტვენა პატარა მწყემსისა; წამს უკან მოისმა ფოთლების შრიალი, აჩქარებული ფეხის ხმა და ტყის სიხშირიდგან გამოხტა პატარა ბიჭი; სახე საშინლად დაპრანჭვოდა, თვალები უელვარებდა.

— ჟანდარმები არიან! შეჰყვირა იმან.

ერთის ნახტომით ტიტო თავისს თოფთან გაჩნდა, და ირგვლივ მიიხედ მოიხედა; გაქცევა შეუძლებელი იყო; ორივ მხრიდგან გზა იყო, რომელსაც უეჭველია სდარაჯობდნენ. გადასწყვიტა ძვირად გაეყიდა სიცოცხლე. ჯერ წინა დღით ის არაფრად აფასებდა სიცოცხლეს, მაგრამ ახლა-კი, როდესაც ბედი თითქოს უღიმოდა და მერმისში ბედნიერებას ჰპირდებოდა, ძვირად ულირდა იგი!.. შესაძლოა ეს უკანასკნელი ცდა-ლაა ბედისა, უკანასკნელი განსაცდელი, რომელიც უეჭველად უნდა აეცილებინა თავიდგან, ვიდრე ბედნიერებას ეღირსებოდა!..

უცებ ყურთან ტყვიამ გაუზუზუნა, მერე მეორემ, მესამემ... და წუთს შემდეგ ტყიდგან გადმოხტა დამბაჩით ხელში ბარბონა. ის ამ გვარს შემთხვევაში ყოველთვის პირველი იყო.

— დაგვნებდი!—შესძახა მან ყაჩაღს.

მოისმა გრიალი და გულში ტყვია გავლებული ბარბონა ტიტოს ფერხთწინ გაიშხლართა.

— ახლა გასწორებულები ვართ! წაიბუტბუტა იმან.

მაგრამ ამ ხანად ჟანდარმები გაცილებით ბევრი იყვნენ კვლავინდელზედ. ფეხსა და მხარში დაჭრილი ყაჩაღი ჰგრძნობდა, რომ ლონე თან და თან ეცლებოდა. ის მიეყუდა ხეს; იმის გვერდით პატარა მწყემსი გაშმაგებით ესროდა ჟანდარმებს ქვას.

— დაიკარგე აქედგან!—დაუყვირა ტიტომ.

მაგრამ ბავშვი ყურს არ უგდებდა. ის გაცხარებული ჭლანძღავდა, ძაღლს უსისინებდა და ყოველთვის, როდესაც ყაჩაღი დასჭრიდა ვისმეს, სიხარულის ყიჟინასა სცემდა. სწორედ ამ დროს, როდესაც ის არავითარს საშიშს არას ჰგრძნობდა, გულში ტყვია გავლებული უცებ დაეშვა ძირს...

— ვაი!—წამოიკვნესა: მგონი მეც, მეც მომხვდა!..

და ამ სიტყვებით დალია სული.

ალყა თან და თან ვიწროვდებოდა; ხეებსა და ხეებს შუა ჟანდარმები გამოჩანდნენ. ტიტო ხედავდა იმათ მოახლოვებას და უშიშრად ეგებებოდა სიკვდილს, ზიზღით შეჰყურებდა დაუდგრომელს ზღვას, ვარსკვლავებით შეჭედილს ცის გუმბათს, რომელნიც წუთს წინად ცბიერად უქადდენ თავისუფლებას.

ტიტომ ხუთჯერ გაისროლა, კიდევ ერთი ტყვია რჩებოდა, რომელსაც ინახავდა, სურდა ეს ტყვია არ დაკარგულიყო უბრალოდ და უეჭველად მიზანს მიეღწია. სურდა ამ ტყვიით პატარა მწყემსის სისხლი აეღო.

წუთს უკან მოხუცი ნეგრონი გამოჩნდა.

ამის დანახვაზედ ყაჩაღმა მორჩილად დაუშვა იარაღი და გულ ხელ დაკრეფილმა უთხრა:

— კარგი, გნებდები!

სწორედ ამ დროს, როდესაც ორივეს ბედი სწყდებოდა, მადლენა სახლში დაბრუნებულიყო. მას ენახა კიდეც სანვიტო, მგზავრობის შესახებ მოჰლაპარაკებოდა და ახლა ვახშამს ამზადებდა. . . . . .

. . . . . .

. . . ყაჩაღის შეპყრობის შემდეგ ნეგრონს დაუყოვნებლივ სახლში დაბრუნება უნდოდა. გაიფანტა თუ არა თოფის წამლის კვამლი, მაშინვე მოაგონდა თავისი პატარა მადლენა, რომელიც უეჭველია უცდიდა სახლში და მოუსვენრად მოელოდა მისს დაბრუნებას. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ მასთან გამოუთხოვებლად გამოვიდა სახლიდგან. ის ჰშიშობდა იმის შეწუხებას. მისი მადლენა ამ ცოტა ხანში ისე გამოიცვალა!.. აი რისთვის მიეჩქარებოდა შინისკენ, იმისდა მიუხედავად, რომ უკვე დაღამებულიყო...

მაგრამ სხვები არ სთანხმდებოდნენ. იმათ სურდათ დამატკბარიყვნენ თავისის გამარჯვებით. ისინი ჰფიქრობნენ მეორე დღეს ქუჩა-ქუჩა გაეტარებინათ თავისი ტყვე ხელე'-გაკრული, რომ ხალხი ტაშის კვრით შიჰგებებოდა მათ: ისიც ჰკმაროდა, რაც აქამდე მასხარად იგდებდნენ აიაჩჩიოში! ჰკმაროდა, რაც აქამდის იმათ უვარგისობის შესახებ ილაპარაკა ხალხმა, სურდათ ეხლა ბელუომოს დაჭერით თავი მოეწონებინათ... გარდასწყვიტეს, ღამე ასპრეტტოს სიმაგრეში გაეთიათ და მეორე დღეს-კი აიაჩჩიოში შესულიყვნენ.

(დასასრული იქმნება)

ტეის მასალა, რაც-კი მოუნდება, ბორჩალოს მაზრის თავისს და ბაზის ტეიდგან. ეს ,ხე-ტეე ფულად რომ ჩავაგდოთ, სამოტ თუმანზედ თუ არ მეტი, ნაკლები არ ეღირება. ზემოხსენებული ხიდი, როგორც გუწეათ, დღინარე ხრამზედ ტფილისის მაზრის ადმინისტრაციის განკარგულებით კეთდება. დიდის მადლობის ღირსია თავადი გ. ქობულაშვილი, რომელმაც ასეთია დასარება აღმოუჩინა ადბულაღისა და ეკატერინოფელდის მიდამოში მცხოვრებთ.

*** ავჭალის ტუალზე ჩაჩიბაიას დუქნის გისინჯვის დროს მეცხრე ნაწილის პოლიციის ბოქაულმა დუქნის ნოქრის პ. კვანტალიანის სადგომში აღმოაჩინა რამდენიმე ნივთი. ამის გამო დაწყებულმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ერთი ნაწილი ამ ნივთებისა ეკუთვნის სასტუმრო „ორიანტის“ პატრონს, რომლისაგანაც მოუპარავს კვანტალიანს, როცა მასთან მოსამსახურედ ყოფილა.

*** მესამე პოლიციის ნაწილში პოლიციის მოხელემ მიიყვანა 9 წლის პატარა ქალი, რომელსაც გზა დაჰკარგოდა და არ იცოდა სად წასულიყო. ბავშვს გამოჰკითხეს და აღმოჩნდა, რომ იგი ყოფილა ვიღაცასაგან ახალქალაქის მაზრიდგან ჩამოყვანილი. ბავშვის მშობლების ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

*** 21 იანვარს, საღამოს 8 საათზედ,— პოლიციის მოხელემ შეამჩნია ვიღაც კაცი, რომელიც სატეხით აძრობდა კალოუბნის ეკლესიის შესავალთან ჩამოკიდებულ საეკლესიო შემოწირულებათა ყულაბს. როგორც კი მოჰკრა თვალი უცნობმა მოხელეს, დაგდო სატეხი და იარმუკისაკენ გაიქცა. მოხელე გამოუდგა და ბევრის ძებნის შემდეგ სასმელების დუქნებსა და სარდაფებში დამნაშავე დაიჭირა, რომელიც აღმოჩნდა ტფილისის მაზრის სოფელ პრიუტის მცხოვრებელი ნაბო მამუკას ძე ბაქრაძე. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა ბაქრაძე ბევრჯელ ყოფილა ქურდობაში შენიშნული და დასჯილი. ეხლაც რამდენიმე კვირის გამოშვებული ყოფილა საპყრობილედგან.

წერილი ყარსიდგან

—

14 იანვარს, მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს, 1 უმანის ყაზახთა რაზმის მღვდელმა ზაქარია ლუკაშვილმა თავისს ეკლესიაში წირვა ქართულს ენაზედ შეასრულა *). სამწუხაროდ, წირვას, წინა წლებთან შედარებით ძალიერ მცირედი ნაწილი დასწრო ქართველებისა.

16 იანვარს 1 უმანის ყაზახთა რაზმის ეკლესიაში მამა ზ. ლუკაშვილისა და მთავ. ალ. ვარდიაშვილის მიერ წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ქართულს ენაზედ განსვენებულის გიორგი იქვითიძეს ძის წერეთლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ ქართულად მწყობრად იგალობა რამდენმე აქაურმა ქართველმა. წირვის შემდეგ, პანაშვიდის დაწყებამდის, პატივცემულმა მამა ზაქარიამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა ქართულს ენაზედ, რომლითაც საზოგადოებას განუმარტა განსვენებულის გიორგი იქვითიძეს ძის წერეთლის მოღვაწეობა საეკლესიერტურო სარბაელზედ და სხ. სიტყვა დასრულა იმით, რომ ჩვენ დავკარგეთ ერთი საუკეთესო, ერთგული და მოწიფინასულ შვილი ჩვენის ერისა, ვალდებულნი ვართ ამ ჩვენის ქვეყნის საერთო უბედურებას და მწუხარებას ბოლმტკივნეულად თანაუგრძნოთ და განსვენებულის გ. ე. წერეთლის სული შევავედროთ უზენაესსა. პანაშვიდს აქაური თანამგრძნობნი ქართველნი ქალნი და კაცნი დასწრნენ.

პანაშვიდის შესრულების შემდეგ ქაკე დაწერილ იქმნა და გაგზავნილ „კავალის“ რედაქციაში სამძიმრის დეპეშა საერთოდ ყარსის ქართველთაგან. აქვე გამოაცხადეს სურვილი ფულის შეგროვებისა თვის შორის და იმ ფულით საუმაწვილო ეურნალ „ჯეჯილის“ რამდენისამე წლიურ ეგზემპლიარის დაკვეთისა და განსვენებულის გ. ე. წერეთლის სახსოვრად სხვა-და-სხვა სასოფლო სკოლებისათვის შეწირვისა. ეს საქმე თავს იდო ბ ნმ ბაგრატ ზედგინიძემ.

ალ. ვარდიაშვილი

უცხოეთი

ინგლის - ტრანსვაალის ომი.

უგანსაკუთრებულად დამარცხება ბულდერისა მით უფრო საგრძნობელია ინგლისის მთავრობისათვის, რომ ეს უბედურება მოხდა პარლამენტის გახსნის წინა დღეს. რაღა თქმა უნდა, ლედი-სმიტის განთავისუფლება რომ ესარებინა კაბინეტს ერის წარმომადგენელთათვის, მაშინ სულ სხვა იყო, იმ შემთხვევაში პარლამენტი ეკელა წინანდელ ცოდვებს აპატიებდა მას, მაგრამ როდესაც საომარად მომზადებაშიაც, ომის ატეხაშიაც და თითონ ბრძოლის ველზედაც სრული უნიჭობა გამოიჩინეს მთავრობამ და მისმა აგენტებმა, ინგლისის პარლამენტიც და მთელი საზოგადოებაც დიდს ფიქრს მიეცნენ. კიდევ საკვირველია ინგლისის ერის სულგრძელება და კეთილ-გონიერება, თორემ ამდენი შეცდომა რომ, მაგალითად, საფრანგეთის მთავრობას მოუვიდეს, ერთს დღესაც არ ატოტხლებს მის ხალხი. ინგლისი ყველაფერს იობის მოთმინებით იტანს, და ერთიც არავინ გამოჩენილა ჯერ, რომელსაც ეთქვას, რომ ომი შეკსწყვიტოთ და მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთო. პირ-იქით, როგორც პარლამენტში, ისე საზოგადოებაშიაც უფლანი იმას გაიძახიან, რომ ერთხელვე დაწყებული საქმე ბოლომდისინ უნდა მიგიყვანოთ და, როგორც უნდა დაგვიჯდეს, ინგლისის დროშა, ადრე თუ გვიან, ბრეტორიასა და ბლუმფონტენში უნდა გაფრიალდესო. ეხლანდელ კაბინეტის გადაყენების შესახებ ლაპარაკიც არ არის, მაგრამ ეს კიდეც რომ მოხდეს და მისი ადგილი ლიბერალებმა დაიჭირონ, თუ მოუღონდნელმა გარემოებამ არ აიძულათ, ომს არ შესწყვეტენ. აი, მაგალითად, რა სწერია გაზეთებში ლორდ როზბერის შესახებ, რომელიც ლიბერალთა დასში უნიჭიერეს კაცად ითვლება, და რომელიც იმ თავითვე დიდი მოძმრეა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების დაშურობისა: „უკეთეს უფრადღება მიქცეულია ლორდ როზბერისაკენ, რომელისაც უკეთაზედ მეტი იმედი კონსერვატორებს აქვთ, რადგან იმას ისეთ კაცად იცნობენ, რომელსაც შეუძლიან ინგლისი დაიხსნას გაჭირვებისაგან. რაზბერისთან ერთად უნდა გამოვიდეს სტენაზედ მისი ამხანაგი გრეი. აგრეთვე ცნობილია, რომ, თუ სალისბიური გადადგა სამსახურიდგან, დედოფალს აზრად აქვს ქვეყნის მართვა გამგეობა ჩაბარდეს მხოლოდ როზბერის, რომელსაც უზომოდ ენდობა და რომლის ნაწს ძალიერ მაღლა აყენებსო“.

ამ გვარად ინგლისის უკეთეს ბოლი ტიკური დასი ომის გასაგრძელებლად ემზადება. როგორც ამბობენ, ომისათვის სარჯის დასაფარავად ახალი გარდასახადი უნდა გაწერონო. მაგალითად, აზრად ჰქონიათ, 4 პენსი მოუმატონ შემოსავალზედ გაწესებულს გარდასახადს, რაიცა საკმარისი იქნება თურმე ხუთი კვირის განმავლობაში დაჭეფარონ უკეთეს სამხედრო სარჯი. გარდა ამისა, სდომებიათ მაგარ სასმელებს მოუმატონ გარდასახადი, უკანასა და ჩაიზედ ახალი გარდასახადი დაწესონ და სხ.

სასამართლოს მატიანე

აზ. კონსტანტინე კალანდარიშვილის საქმე.

ტფილისის ოლქის პირველ სასჯლის სამართლის განუფიდებამ გუშინ, 24 იანვარს, განიხილა საქმე ქ. გორის მცხოვრებელის აზ. კონსტანტინე დიმიტრის ძის კალანდარაშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება. ამ საქმის გარემოება შემდეგია: აზ. კალანდარაშვილს 6 აპრილს 1899 წ. შემთხვევით ჩავარდნია ხელში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ნაწეები, ლადამერ კოკალიოვის სახელზედ დაწერილი, რომლითაც კოკალიოვს უნდა მიეღო წერილი 40 მანეთით. კალანდარაშვილმა სადგურ „ტფილისის დეპოს“ უფროსის თანაშემწის ბ. ბიჩიკანტის მაგივრად თითონ შეამოწმა ეს ნაწეები და იმის მაგივრად თითონ მოაწერა ყალბად ხელი. ამ ყალბის მოწმობით მიიღო ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, დაიჭერა სარეული კოკალიოვისა და ფულის მისაღებ დავთარში მოაწერა ხელი და ფული მიიღო.

კ. კალანდარაშვილმა დანაშაული აღიარა. ოლქის სასამართლომ, იცნო-რა აზ. კალანდარაშვილი დამნაშაედ, დაადგინა დაპატიმრებულ იქმნას იგი საპყრობილეში 4 თვით და გარდახდეს 40 მანეთი კოკალიოვის სასარგებლოდ.

დამეგვიანდა

ძნელია ოკეანეთვის ერთს ტაძარში მოთავსება პატიოსნებისა და სარგებლობისა.

ჯორჯ ჰერბერტი.

***

უკეთეს ეშაწვილი ქალი კარგია, ხუმა, წენარი, მშვიდობიანი, მაგრამ ეს ბოროტი ცოლები საიდგანღა ჩნდებიან ხოლმე?

რუსთა თქმულება

***

რაბამ ამშვენებს მარჩბიკი სტომაქი ქმრისანსა დაცსა, იმოდენად საბრალგე ფაშვისა ამცარებს მამაკაცსა და მით უმეტეს სულიერსა მოძღვარსა.

ლასურიძე

ეურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ეს ოცდა ათი წელიწადია, რაც გრაფი ცეპელინი შეუდგა ჰაეროსტატის გამოგონებას. როგორც გაზეთები იუწყებიან, ცეპელინს ამდენდის ხნის შრომა დაუგვირგვინებია დუკვე გამოუგონია ისეთი ჰაეროსტატი, რომელსაც თავისუფლად შეუძლიან თურმე ჰაერში ფრენა. გრაფს 350 ათასი მანეთი მოუკრებნია ნაცნობებს შორის და შესდგომია თავისს საფრენ მანქანის კეთებას. ეს მანქანა, როგორც თვით ცეპელინს განუცხადებია, საათში 7 ვერსტის გავლას შესძლებს. აქვე მოვიხსენიებთ, რომ პარიეის გამოფენაზედ აჩვენებს ყველას ერთს სხვა ჰაეროსტატს, რომელსაც ამ ჟამად ლიონში აკეთებენ და მალე დაამთავრებენ კიდეც. ეს საფრენი მანქანა ფრინველსა ჰგავს. ამბობენ, რომ საათში ამ მანქანას 100 ვერსტის გავლა შეეძლებაო. მეორე უხარმაზარ მანქანას ამერიკაში ამზადებენ თურმე. ამერიკელებს უკვე შეუკრებიათ ამისთვის 200 მილიონი მანეთი.

***

ტრანსვაალის რკინის გზები საქციონერო საზოგადოებათა საკუთრებას შეადგენს. მთავრობას ჯერ ჯეროობით არც ერთი გზა არ გამოუსყიდნია. თვით რესპუბლიკას მხოლოდ 10,000,000 მანეთის აქცია აქვს, დანარჩენი აქციები უმთავრესად ნემენცებისა და ჰოლანდიელების საკუთრებას შეადგენს. ობლიგაციები-კი უფრო ბელგიელების ხელშია. რკინის გზებზედ თითქმის სულ ჰოლანდიელები მსახურებენ. სულ ტრანსვაალის რკინის გზებზედ 2214 კაცი მსახურებს.

***

როგორც ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, ამას წინად იქ ერთ უმაღლეს სასწავლებელში ეგზამენი დაუტერია 18 წლის ქალს ვინმე ელენე კესსლერს, დაბადებით ყრუ-მუნჯს. ეს ყრუ-მუნჯი ისე სამაგალითოდ მომზადებულა, რომ ყველანი განცვიფრებაში მოუყვანია. როგორც ვუწყით, ყრუ-მუნჯებისთვის განსაკუთრებული ან-ბანია გამოგონილი, რომელზედაც მრავალი წიგნია გადაღებული; ელენე კესსლერი ამ წიგნების შემწეობით მომზადებულა.

***

ამერიკაში ერთი საზოგადოება შემდგარა, რომელსაც აზრად აქვს რკინის გზებზედ მეტად ჩქარა მოსიარულე მატარებლები შემოიღოს. როგორც გადაუწყვეტიათ, ამ საზოგადოების მატარებლებმა საათში სულ ცოტა 160 კილომეტრი (კილომეტრი—468 საჟენია) მაინც უნდა გაიარონ.

გამოსაძები ცნობა

თუ ფეხები დაგისველდით და გეშინიან გაცივებისა და კბილების ტკივილისა, ფეხები თბილის წყლით ან ძმრით გაიწმინდეთ და არა გეშინოდეთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

22 იანვარი.

პეტერბურგი. უკანასკნელ წლებში მოუსავლობისაგან შევიწროებულ გუბერნიებს, გარდა მთავრობის დახმარებისა, დიდს ყურადღებას აქცევდა საზოგადოება და ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა დამშეულთათვის შეწირულებით, უფასო და იაფ-ფასიან სასადილოების, ბავშთათვის დროებით თავ-შესაფარის გამართვით და სხვ. გასულ წლების გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ამ საქმეში კერძო ქველ-მოქმედება ვერ აღწევდა სურვილს და ვერ აწვდიდა ხელს იმათ, ვისაც უფრო სჭიროდა მათი დახმარება; ეს უფრო იმიტომ ხდებოდა, რომ ცნობები ამა თუ იმ დამშეულ კუთხიდან ეკუთვნოდა ან კერძო პირებს, ან ეურნალ-გაზეთობას და უმეტეს შემთხვევაში არ ეთანხმებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას. ხშირად იმ ადგილებიდგან, სადაც მცხოვრებნი მართლა გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, არავითარი ცნობები არ მოდიოდა, იმ დროს, როდესაც ზოგიერთ სხვა ადგილებიდგან, სადაც არც გაჭირვება იყო ისე საგრძნობელი და დახმარებაც ჯეროვანი ჰქონდათ, გადამეტებულს ცნობებს აწოდებდენ საზოგადოებას შიმშილობის შესახებ. ამის გამო ზოგ ალაგას იმდენი შემოწირულება მოდიოდა, რომ ან რჩებოდა დაუხარჯავად, ან იხარჯებოდა გადამეტებით და ამით აჩენდა ხალხს უსაქმობას. ამ არა სასურველ მოვლენის თავიდან აცილება [illegible] თუ დროზედ იქმნება გამოცხადებული ნამდვილი ცნობები შიმშილობის და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულია მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან. ამისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ადგილობრივ გუბერნატორებმა დროზე აცნობონ სამინისტროს საჭირო ამბები შიმშილობის შესახებ: მათ სინამდვილეში თვით გუბერნატორები უნდა იქმნენ პასუხის მგებელნი.

ტამბოვი. ტამბოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად არჩეულ იქმნა ისევ თავადი ჩოლოყაშვილი.

ლონდონი. პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ მთავრობა თუმცა ხელს არ იღებს თავისს უფლებებზე, მაგრამ, რადგანაც გერმანიის მთავრობამ და საფოსტო გემების საზოგადოებამ გამოუცხადეს ინგლისს, რომ მათის ბრძანებით ხსენებულ გემებით კონტრაბანდი არ გადაიზიდება, ინგლისის მთავრობამ გარდასწყვიტა ამიერიდგან აღარ დაიჭიროს ხსენებულ საზოგადოების გემები. შემდეგ ბრაისი უარჰყოფს ბრალდებას, ვითომც ოპოზიციას სურდეს ისარგებლოს ომით თავისს დასთათვის. მინისტრების თავის მართლება არ არის საკმაოდ დასაბუთებული. უცხოელთა საჩივრები ტრანსვაალის მთავრობაზედ გადამეტებული იყო. ყოველ შემთხვევაში უცხოელები თვით ეოიპოვებდნენ უფლებებს უინგლისოდაც, ეს ომი კი მათ უარეს მდგომარეობაში ჩააყენებს. უმთავრესი დანაშაული მთავრობისა იმაში გამოიხატება, რომ მისი დიპლომატია ომის გამომწვევ კილოთი ლაპარაკობდა და ომისათვის კი აგრე რიგად არ ემზადებოდა. ეს სხვას რას გამოიწვევდა, თუ არა ქვეყნის წყრომასა და გაკიცხვას! (მოწონების ხმაა). გოშენმა სთქვა: მწუხარებით ვუყურებ, რომ ბრალსა სდებენ მთელს სამინისტროს კი არა, არამედ რამდენსამე მინისტრს. თვითეულ მინისტრზე ცალკე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგანაც მთელი სამინისტრო ერთ არს—როგორც ზომების მიღების საქმეში, ისე პასუხის გებაში. მთავრობას უნდა დაეტოვებინა თავისს ადგილზე სამხედრო ძალა და უმთავრესად ფლოტი, რადგანაც შეიძლება გარემოებამ მოითხოვოს მათი საომარ ფეხზე დაყენება. ბოროტ პირებს შეეძლოთ ესარგებლათ ჩვენის საშიშოსა და უმწეო მდგომარეობით, მაგრამ საბედნიეროდ, ყველა სახელმწიფოებთან კარგი განწყობილება გვაქვს. ჩვენი მდგომარეობა თუმცა საშიშარი არაა, მაგრამ მძიმე კი არის.

პეტერბურგი. უწმიდესმა სინოდმა ცირკულიარით აცნობა სასულიერო უწყებას, რომ შეიძლება ეკლესიებში წირვის დროს შეწირულების მოგროვება იმ საქველ-მოქმედო საზოგადოებათა სასარგებლოდ, რომელნიც თავისს თანხის გასაძლიერებლად არ მართავენ არც კონცერტებს, არც წარმოდგენებს და არც სხვა გასართობებს.

ლონდონი. „რეიტ. საგ.“ პალატა. თათბირის დროს კონსერვატორმა საუნდერსონმა შეჰნიშნა, რომ ინგლისს თავს ესხმიან ფრონ-

---

*) რაც პატივცემული მღვდელი ზაქარია ლუკაშვილი აქა ჰმსახურობს, 14 იანვარს ყოველთვის ქართულად სწირავს.

ტიდგან ბურები და ზურგიდგან— ირლანდიის ნაციონალისტები. ირლანდიის ნაციონალისტებმა ასტეხეს საშინელი ხმაურობა. სპიკერმა აუხსნა კრებას, რომ საუნტერსონს არ დაურღვევია პარლამენტის წესრიგი, რადგან არ დაუსახელებია არც ერთი წევრი პარლამენტისაო. ხშირად ირლანდიის დეპუტატები, როდესაც მათ არ უშლიდნენ, შეურაცხყოფით იხსენიებდნენ ინგლისის ხალხსაო. საუნდერსონმა ბოლოს უკანვე წაიღო თავისი სიტყვები.

ლონდონიდგან მარკეზე. „რეიტ. სააგ.“ ამერიკის ელჩი გეი წავიდა პრეტორიაში.

გაბერონიდგან იუწყებიან, რომ პოლკოვნიკი ჩლუმერი განაგრძობს თავის სამხედრო მოქმედებას. 14 იანვარს გაგზავნილ დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისელნი ახალ ზარბაზნებიდგან ესვრიან ბურების პოზიციებსაო; ბურებიც პასუხს აძლევენ. არტილერიის სროლა არ შეწყვეტილა.

როგორც ტულიდგან იუწყებიან მდინარე ლიმპოპო ადიდდა; ხიდი წაიღო და მარტამდე შეუძლებელია მდინარის მეორე მხარეზედ გადასვლა.

დურბანი. „რეიტ. სააგ.“ ნანდვენიდგან, რომელიც იმყოფება ნატალისა და ტრანსვაალის საზღვარზე, ატყობინებენ გაზეთებს, რომ ბურებს ზარბაზნები მიაქვთ, რათა ხელში დაიჭირონ ნანდვენსა და ფრიგეიდომის შორის მყოფი გზა. გზის პირას სდგას მრავალი ბური, რომელნიც ლედი სმიტიდგან და დენდიდგან მივიდნენ იმ განძრახვით, რათა დაუშალონ ინგლისელებს ზულანდზე გადასვლა.

ლონდონი. „რეიტ. სააგენტო“. „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან, რომ პრეზიდენტმა შტეინმა მიჰმართა ნატალის მოქალაქეთ სიტყვით, რომლითაც უსაყვედურა ინგლისს, რომ მან ბურები ჩაითრია ომშიო. „ინგლისს, სთქვა მან, არა ერთხელ დაუღვრია სხვა და სხვა ადგილს ტრანსვაალისა და ორანჟეს ბურების სისხლი, მაგრამ ახლა ჭრვის კიდევ სისხლს აფრიკანდერებისასაო“.

ხარკოვი. იმ 58 გლეხთაგან, რომელთაც ჭბრალდებოდათ არეულობის მოხდენა ბრიანსკის რელსის ქარხანაში, სამოსამართლო პალატამ 38 დამნაშავედ სცნო, ხოლო დანარჩენები გაამართლა.

23 იანვარი.

პეტერბურგი. ნიცაში გარდაიცვალა ცნობილი გამომცემელი რუსული წიგნებისა პავლენკოვი.

პრაგა. ახალგაზდა ჩეხთა კლუბმა 11 ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა იმ კონფერენციაში, რომელსაც მინდობილი აქვს ნემცებთან შეთანხმების პროექტის შედგენა, ამასთან აარჩია ექვსი დელეგატი.

ბურგომისტრის არჩევა მეოთხე კრებაზედაც ვერ მოხერხდა. შემდეგ ქუჩებში მომხდარი მანიფესტაციები პოლიციამ მოსპო.

24 იანვარი.

ლონდონი. დურბანიდგან იუწყებიან 22 იანვარს: ადგილობრივ მკვიდრთაგან ცნობა მოვიდა, რომ ბურები 19 იანვარს თავს დაესხენ ნკუტურს, ზულულანდის ადმინისტრატიულს შუაგულს ადგილს. ბურებმა იძულებულ ჰყვეს ადგილობრივი უფროსი დამორჩილებოდა. ხმა დადის, რომ უფროსი და მისი შტაბი ტყვედ არიან დაჭერილნიო.

კაპშტადტიდგან აუწყებენ „რეიტერის საგენტოს“, რომ გენერალმა რობერტმა განკარგულება გასცა განთავისუფლონ პრეტორიუსი, რომელსაც ფეხი მოჭრილი აქვს. რობერტმა შენიშნა, რომ არ მინდა ტყვედ ვიყოლიო მამაცი ჯარი-კაციო.

ლედი სმიტთან მყოფ ჯარის ბანაკიდგან 21 იანვარს იუნობებიან, რომ აქ ყველაფერი მშვიდობიანად არის, მხოლოდ „გრძელის ტომის“ სროლა არღვევს ხან და ხან მშვიდობიანობასაო.

ფერერიის ჯარების უფროსის თანაშემწემ ტყვედ დაიჭირა ინგლისის ცხენოსან პოლიციელთაგან 11 თეთრ-კანიანი 34 ადგილობრივი მცხოვრებელი.

ლედი-სმიტი. ბულლერის ზარბაზნების გრიალი კვლავ ისმის. იმისს აქ მოსვლის ამბებს მთუთმენლად ელიან. ბურებმა თავი მოიყარეს სამხრეთით და დასავლეთით.

პარიჟი. დღეს სენ-მანდეში ნადიმი იყო გამართული ვოლდეკ-რუსსოს და მილიერანის პატივსაცემლად ფაბრიკის მუშათა მოთათბირე პალატების მიერ. ვალდეკ-რუსსომ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა: „აწინდელმა მთავრობამ გასაჭირს ვითარებაში დაიწყო ქვეყნის მმართვა: იძულებული იყო იგი დაეცვა რესპუბლიკა მისს საუკუნო მოწინააღმდეგეთაგან. ჩვენ სხვა განსაცდელსაც გამომივლით კიდევ, განსაცდელს, ძალ-მომრეობისას-კი არა, მზაკვარობისას, მაგრამ ყოველსავე ამას უშიშრად ავიტანთ, რადგან, კრიტიკის მიუხედავად, რესპუბლიკა უნაყოფო არა ყოფილა და დემოკრატია, ჯამს შეადგენს რა მის მიერ მოღწეულ გამარჯვებისას, არავის დაანებებს ჯილდოს ამ თავისის მეცადინეობისას. ჩვენ მერმისისა არ გვეშინიან, რადგან ვიცით რომ იგი რესპუბლიკას აკუთვნის.“

სპირმანსკამპი. ბურები კვლავ სწვავენ ბალახს მაუნტ ალისის მარცხნივ, რომ უკეთ ადევნონ თვალყური ჩვენის ჯარის მოძრაობას.

კენტუკი ფრანკ-ფურტი. დემოკრატი კანდიდატი გუბერნატორის თანამდებობისა, რომელსაც 13 იანვარს არჩევნების დროს მოკვლა დაუპირეს, დღეს გარდაიცვალა მაშინ მიღებულ ჭრილობისაგან.

სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი საპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.

პირველი სასჯლის სამართლის დეპარტამენტი.

25 იანვარი.

ლუკა ზურაბის ძის გვაზავასი, გიორგი სიკოს ძის მაკალათიასი და გიორგი ალექსანდრეს ძის მამინაიშვილისა, რომელთაც გამძარცველობა ჰბრალდებათ.

თოკა კოზაშვილისა, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდება.

გიორგი მეტონიძესი, ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილი.

ფარსადან კობახიძისა, გარსევან ვაჩაძისა და დავით ქრისტესიაშვილისა.

ნესტორ ლომიძისა.

გიორგი და ნიკო ქარუმიძეებისა, რომელთაც ქურდობის დაფარვა ჰბრალდებათ.

კაპაროვისა და ალექსანდრე სოსელიასი, რომელსაც კაცის-კვლა ჰბრალდება.

29 იანვარი.

დავით ხანჩაგაშვილისა, რომელსაც ქურდობა და მძარცველობა ედება ბრალად.

იოსებ ჯანელიძისა, ილია ფარსადანოვისა, ელიზარ ვავილკოვისა და ევგენი პაპოვისა, რომელთაც სხვათა მოტყუება და ცთუნება ჰბრალდებათ.

წერილი რედაქციის მიმართ

ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ქ. ოდესაში შესდგა ამხანაგობა, რომელსაც აზრად ჰქონდა გამოეცა ჩვენ მწერალ-მოღვაწეთა იაფფასიანი სურათები. საჭირო თანხა საქმის დასაწყებად შესდგა ამხანაგობის პაის გაყიდვით. ამხანაგობას 98 წევრი ჰყავს. ამათ შორის 25 წევრს პაის ფული სრულიად არ გადაუხდიათ, თუმცა სურათებიკი ეგზავნებათ; ოთხ წევრს აქვს შემოტანილი მხოლოდ ნაწილი—6 მანეთი და 69 წევრს აქვს სრულად შემოტანილი 345 მანეთი, საწევრო ფული შემოსულია სულ 351 მანეთი, გაყიდული სურათებიდგან არის შემოსული 202 მ., 46 კაპ. სულ 553 მ., 46 კ., გამოიცა ხუთი სურათი: ილია ჭავჭავაძისა, დიმიტრი ყიფიანისა, აკაკი წერეთლისა, ნიკო ნიკოლაძისა და ალექსანდრე ყაზბეგისა, რაზედაც დაიხარჯა 608 მანეთი და 25 კაპ. სახელდობრ: ი. ჭავჭავაძის სურათი დაჯდა სულ 152 მ., 75 კ., დ. ყიფიანისა—107 მ., 70 კ., აკაკი წერეთელის—161 მ., 70 კ., ა. ყაზბეგისა და ნ. ნიკოლაძისა ორივე 185 მ., 85 კ., როგორც ხარჯი, ისე შემოსავალი შემოწმებულია ქ. ოდესაში მყოფ ამხანაგობის წევრთა მიერ.

როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, ამხანაგობას დაუხარჯავს ორმოც-და თოთხმეტი მანეთი და 79 კაპ. მეტი შემოსავალზედ, რაიცა, რასაკვირველია, ვალად ადევს. უკანასკნელი გარემოება გვაიძულებს სურათების გამოცემა დროებით შევაჩეროთ, ვიდრე საჭირო თანხა შეიკრიბებოდეს კვლავ გამოცემის განსაგრძობად.

ვთხოვთ წევრებს ფულის გამოგზავნა დაარჩარონ. ამასთანავე დიდ მადლობას ვუძღვნით ჩვენ აგენტებს საქმის ერთგულებისათვის და იმედი გვაქვს შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ შემწეობას, როგორც სურათების გაყიდვით, ისე გაყიდული სურათების ფულის დროზედ გამოგზავნით. დღეს ჩვენი ამხანაგობის ბედ-იღბალი გამოცემულ სურათების გავრცელებაზედ არის დამოკიდებული. სურათების დამზადება მინდობილი აქვს აქაურ საუკეთესო ფოტოტიპს საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზედ. დიდი სურათი ჰდირს 30 კაპეიკი და პატარა ზომისა იმავე ქაღალდზედ—7 კაპეიკი. თუ ვინმე ისურვებს სურათების შეძენას, ჩვენ გვყავს აგენტები სხვა და სხვა ადგილას, რომელთა გვარები აქავე მოგვყავს: 1) ხარლამპი ღლონტი ნოვოროსისკში, სურათები აქვს 44 მ., 50 კ., 2) ალექსანდრე გოგიჯანოვი ბათუმში 12 მანეთისა, 3) კონსტანტინე თავართქილაძე ოზურგეთში 22 მ., 4) დავით ღამბაშიძე ზესტაფონში 25 მ., 5) ი. ს. მესხიშვილი კავკავში 32 მ., 6) აბელ იაშვილი დუშეთში 22 მ., 70 კ., 7) გ. გოგიჯანოვი სოხუმში 28 მ., 50 კ., 8) პ. მამრაძე პეტერბურგში 12 მ., 9) გ. ჯავახიშვილი 70 კ., 10) ვ. მაჭარაძე ხონში 34 მ., 50 კ., 11) ივანე ცეცხლაძე სოხუმში 8 მ., 12) ლავრენტი ხენგია ბათუმში 59 მ., 75 კ., 13) დიომიდე შავი. შვილი ოზურგეთში 16 მ., 50 კაპ., 14) იოსებ ბახტაძე ნოვოროსისკში სურათები აქვს 6 მან. 50 კაპ., 15) ბ-ნი ბეჟანეიშვილი ქუთაისში 77 მ. 10 კაპ., 16) „წ. კ. გ. საზოგადოება“ ტფილისში 393 მან. 20 კაპ. 17) იაკობ ფანცხავა ფოთში 52 მან. 50 კაპ.

სულ აგენტებთან არის 847 მანეთის და 76 კაპ. სურათები. როგორც ზევით, ისე აქაც უნდა ვთქვა, რომ ამ ფულზედ და შემოუტანელ საწევრო ფულის მოგროვებაზედ არის დამოკიდებული სხვა მოღვაწეთა სურათების გამოცემა.

გამგენი ამხანაგობისა: იასონ ბაქრაძე, სიმონ მდივანი, ივანე ლეკვა; ხაზინადარი სიმონ ჯაყელი.

ადრესი: ოდესა, სიმონ ჯაყელი.

განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ᲛᲘᲜᲘᲜᲘᲜ